დამტკიცებულია
ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“ დირექტორის
2021 წლის 31 დეკემბრის N01-4/283 ბრძანებით

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიჟი“

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ კოლეჯის “პრესტიჟი” (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციებისა და კოლეჯის წესდების საფუძველზე.

2. წინამდებარე პოლიტიკის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის ერთიანი მექანიზმის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ღონისძიებებს, ასევე პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსათან ადაპტირების პროცესის ხელშეწყობასა და სტუდენტური ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭირვალობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო გარემოსთან ადაპტირება და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები

1. კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტების/მსმნელის აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე და ასევე ნებისმიერ ეტაპზე, როცა მათი სასწავლო გარემო იცვლება. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით კოლეჯი მართავს გაცნობითი სახის შეხვედრებს ყოველი ახალი ნაკადის სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ თითოეულ სტუდენტს/მსმენელს ჰქონდეს წვდომა კოლეჯის სერვისებზე და აწვდის მათ შემდეგი სახის ინფორმაციას:

   1.1. კოლეჯის შენობის, გარემოს, ადმინისტრაციის, სერვისებისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის შესახებ.

   1.2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ.

   1.3. კოლეჯის შიდამარეგულირებელი აქტების შესახებ (მათ შორის, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, შეფასების სისტემის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ).

   1.4. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობების შესახებ;

   1.5. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ და სხვა.

2. პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ხოლო მსმენელთა ადაპტაციაზე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.
3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყო - ფად კოლეჯი მათ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გონივრულ ვადებში ახორციელებს. სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

მუხლი 3. სასწავლო პროცესში მხარდაჭერა

1. პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მუდმივ მხარდაჭერას, აწვდის მათ ხარისხიან განათლებას და ქმნის უსაფრთხო გარემოს.
2. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა თანაბარ პირობებში ისარგებლონ კოლეჯის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და სხვა საშუალებებით.
3. პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა გამოთქვან მოსაზრებები კოლეჯში მიმდინარე პროცესების შესახებ და დააფიქსირონ ინიციატივები კოლეჯში პოზიტიური ცვლილებების განსახორციელებლად.
4. კოლეჯის ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის დროული ინფორმაციის მიწოდებას:
   4.1. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების განრიგის შესახებ.
   4.2. დანიშნული სწავლის შედეგების დადასტურების/თეორიული და პრაქტიკული გამოცდების (მათ შორის შუალედური, საკვალიფიკაციო, განმეორებითი/დამატებითი) თარიღების/ვადების ვადების შესახებ.
   4.3. გასაჩივრებული სწავლის შედეგების/გამოცდის შედეგის შესახებ და სხვა.
5. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა/მსმენელმა დროულად მიიღოს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია კოლეჯის ადმინისტრაციისგან, მათ შორის ცნობის/წერილის სახით.
6. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი და პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა ისარგებლოს მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით;

მუხლი 4. სტუდენტთა/მსმენელთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით/სერვისებით უზრუნველყოფა

1. სტუდენტთა/მსმენელთა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით/სერვისებით უზრუნველყოფა გულისხმობს:

   - უსაფრთხო და დაცულ საგანმანათლებლო გარემოს/სივრცის არსებობას;
   - რეკრეაციული ადგილების არსებობას;
   - სტუდენტთა/მსმენელთა ჯგუფური მუშაობისთვის სივრცეების არსებობას;
   - პროგრამების შესაბამის სასწავლო გარემოს ბუნებრივი და უწყვეტი ხელოვნური განათებით, ვენტილაციის შესაძლებლობით;
   - კომფორტულ თანამედროვე ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;

- პროგრამების შესაბამისი ტექნიკით, მატერიალურ ტექნიკური ბაზით;
- ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის;
- პირველად გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას;
- კოლეჯის მთელ პერიმეტრზე (შიდა სივრცე და ეზო) დაცულია სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;
- კოლეჯის მთელ პერიმეტრზე (შიდა სივრცე და ეზო) დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები; მოწესრიგებულია სველი წერტილები, წყლის უწყვეტი მიწოდებით;
- 24 საათიან დაცვის სამსახურს;

2. კოლეჯი სისტემატურად ზრუნავს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების/სერვისების გაუმჯობესებასა და გამრავალფეროვნებაზე.

მუხლი 5. ფინანსური მხარდაჭერა

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის თვით დაფინანსებით სწავლის შემთხვევაში კოლეჯი ითვალისწინებს სწავლის საფასურის გადანაწილების/გადავადების შესაძლებლობას სტუდენტის/მსმენელის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე.

მუხლი 6. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი

1. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხრიდან წარმოდგენილი დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მათ მიერ წარმოდგენილი ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯისა და სტუდენტების/მსმენელების საერთო მიზნებსა და საქმიანობის სფეროს.

2. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხრიდან წარმოდგენილი ინიციატივა შესაძლოა გულისხმობდეს სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, საექსკურსიო-შემეცნებითი, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობას, ასევე არაფორმალურ განათლებას.

3. ინიციატივის წარმოდგენის მიზნით კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

4. განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი განსახორციელებელი აქტივობა და მასში ჩართულობის მნიშვნელობა. განცხადებაში ასევე უნდა აღინიშნოს ამ აქტივობის განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები, ჩართული პირები და არსებობის შემთხვევაში სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

5. განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში კოლეჯის ადმინისტრაცია განიხილავს შემოსულ ინიციატივას და აცნობებს განმცხადებელს მიღებულ გადაწყვეტილებას;

6. თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს კოლეჯის ბიუჯეტთან;.

7. დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე/განხორციელების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. საჭიროების

შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი პირებიც.

6. იმ შემთხვევაში თუ, წარმოდგენილი ინიციატივა არ დაკმაყოფილდება, განმცხადებელს ეცნობება არგუმენტირებული უარი;

მუხლი 7. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისათვის, აღნიშნულის დასაკმაყოფილებლად კოლეჯში სტუდენტების/მსმენელების კარიერული მხარდაჭერის მიზნით მოქმედებს შესაბამისი სერვისები:

- მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ეხმარება საჭიროებისამებრ კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.;

2. აღნიშნულის დასაკმაყოფილებლად კოლეჯს შექმნილი აქვს დამსაქმებელთა და სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა ერთიანი პლატფორმა სოციალურ ქსელში, რომლის მართვაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;

3. დამსაქმებელთა მიერ კონკრეტული ინტერესის შემთხვევაში კოლეჯი კურსდამთავრებულს სთავაზობს წინადადებას და მისი თანხმობის შემდეგ აკავშირებს დამსაქმებელს, ან კურსდამთავრებული დაინტერესების შემთხვევაში თვითონ უკავშირდება საკონტაქტო პირებს;

4. პერიოდულად იმართება დასაქმების ფორუმები, სადაც მოწვეული არიან, როგორც კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები/პოტენციური დამსაქმებლები, ისე კურსდამთავრებულები/მოქმედი პროფესიული სტუდენტები/მსმენელები. დასაქმების ფორუმზე პოტენციური დამსაქმებელები აკეთებენ საკუთარი ორგანიზაციების წარდგენასა და დამსწრე საზოგადოებას აცნობენ, თუ რა შესაძლებლობებს თავაზობენ პოტენციურ დასაქმებულებს.

5. კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას კოლეჯის სოციალური ქსელის საშუალებით დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას ტრენინგების, ასევე სხვა ღონისძიებების შესახებ (მაგალითად გამოფენები, პრეზენტაციები, ვიდეორგოლების გავრცელება და სხვა).

მუხლი 8. ეფექტური თანამშრომლობა და უკუკავშირი

1. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელთან ეფექტური თანამშრომლობის მიზნით:

- უზრუნველყოფს მათი პრობლემის და საჭიროებების იდენტიფიცირებას;
- ადგენს სტუდენტის/მსმენელის უკმაყოფილების მიზეზს/საჭიროებას და უზრუნველყოფს მის გადაჭრას;
- პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან ურთიერთობებისას იცავს ეთიკის ნორმებს;

2. პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან თანამშრომლობის ხარისხის კონტროლისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმია უკუკავშირის არსებობა, რაც საუკეთესო საშუალებაა იმის გასაგებად, რა შედეგს იღებს კოლეჯი სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროცესში. უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: კითხვარების შევსება (დანართი N1), ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, მიღებული განცხადებების ანალიზი, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია და სხვა.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. წინამდებარე წესის გაუქმება და მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

დანართი N1

სტუდენტის კითხვარი:

სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები:

1. რამდენად საჯარო და ხელმისაწვდომია თქვენთვის შემდეგი ინფორმაცია:

1. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებული არსებული რეგულაციები;
2. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმი;
3. სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
4. ინფორმაცია სტუდენტთა მობილობის უფლებისა და ამ უფლებით გათვალისწინებული პროცედურების შესახებ;
5. კვალიფიკაციის/კურსდამთავრებულის მინიჭების წესები;

✓ *რა წყაროდან იღებთ ძირითადად კოლეჯის მიერ მოწოდებულ ზემოხსენებულ ინფორმაციას?*

- კოლეჯის ვებ-გვერდიდან
- სოციალური ვებ-გვერდებიდან
- კოლეჯის შესაბამისი თანამშრომლებისგან
- სტუდენტებისგან
- სხვა წყაროებიდან
- ვერ ვიღებ ინფორმაციას

2. რომელი დამხმარე სერვისები არსებობს კოლეჯში სტუდენტების/მსმენელების სწავლის ხელშეწყობის მიზნით? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

- კონსულტაციები
- ბიბლიოთეკა
- სტაჟირების პროგრამები
- არ მაქვს ინფორმაცია
- სხვა _____

3. კოლეჯსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს თუ არა თქვენი როგორც სტუდენტის/მსმენელის კანონიერ ინტერესებს?

- ჩვენი უფლებები სრულიად დაცულია
- უფლებები მეტნაკლებად დაცულია
- უფლებები არაა დაცული
- არ მაქვს ინფორმაცია
- სხვა ----------

3. ხელშეკრულების გაფორმების დროს კოლეჯის შესაბამისმა თანამშრომელმა გაგაცნოთ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მონიჭებული უფლებები და მოვალეობები?

- დიახ, მომაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია
- კონსულტაცია იყო ზოგადი და მეტნაკლებად გასაგები
- არ მიმიღია სათანადო კონსულტაცია
- არ მაქვს ინფორმაცია
- სხვა ----------

4. **კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებით უზრუნველყოფს:**
   - ✓ სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამის სწავლა-სწავლებას, შესაბამის შეფასების ფორმებსა და სათანადო პირობებს
   - ✓ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სტუდენტების სწავლა-სწავლებას, შესაბამის შეფასების ფორმებსა და სათანადო პირობებს
   - ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლა-სწავლების პროცესს ახორციელებს სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი

   - სრულად უზრუნველყოფს
   - ნაწილობრივ უზრუნველყოფს
   - ვერ უზრუნველყოფს
   - არ მაქვს სათანადო ინფორმაცია
   - სხვა ----------

5. **რა მხარდამჭერ მექანიზმებს გთავაზობთ კოლეჯი? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)**

   - არსებობს ინდივიდუალური კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლისგან/ადმინისტრაციის წარმომადგენელისგან;
   - მაქვს ინდივიდუალური კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისაგან და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისაგან
   - კოლეჯში შესაძლებელია იურისტისაგან ინდივიდუალურ რეჟიმში იურიდიული კონსულტაციის მიღება.
   - სწავლის დაწყებისთანავე კოლეჯი უზრუნველყოფს მხარდაჭერი მექანიზმების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას
   - სწავლის დაწყებისთანავე კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტთა/მსმენელთა სასწავლო გარემოში ადაპტირების ხელშეწყობას
   - არ მაქვს ინფორმაცია

6. **კოლეჯი უზრუნველყოფს სპორტულ, ხელოვნების და შემეცნებით აქტივობებსა და ღონისძიებებს?**
   - აქტიურად ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები
   - მეტნაკლებად ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები
   - ამგვარი ღონისძიებები არ ხორციელდება
   - არ მაქვს სათანადო ინფორმაცია
   - სხვა _____

   - ✓ ***რა წყაროდან იღებთ ინფორმაციას*** **სპორტული, ხელოვნების და შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ*?***
   - კოლეჯის ვებ. გვერდიდან
   - კოლეჯის სოციალური ქსელიდან
   - კოლეჯის შესაბამისი თანამშრომლებისგან
   - სხვა წყაროებიდან
   - არ მაქვს ინფორმაცია

7. გთხოვთ შეასაფოთ კოლეჯის ბიბლიოთეკა

	არ მაქვს მოსაზრება	ხელმისაწვდომობა			ხარისხი		
		არ არის ხელმისაწვდომი	მეტნაკლებად ხელმისაწვდომია	სრულად ხელმისაწვდომია	საჭიროებს გაუმჯობესებას	დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია	კარგ მდგომარეობაშია
სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი							
ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის მომსახურების სერვისი							
შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცე							
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები							
საინფორმაციო - ტექნოლოგიური აღჭურვილობა							
ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით სარგებლობის შესაძლებლობა							
პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით სარგებლობის შესაძლებლობა							
პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურის სრული ხელმისაწვდომობა							